ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N17
21 აგვისტო 2025 წ.

დაბა ლენტეხი

,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28-თებერვლის N-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 მუხლის მე-2 პუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 -ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1
შევიდეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ,,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28-თებერვლის N-7 (www.matsne.gov.ge 010260020.35.115.016378 01/03/2023 წ.) დადგენილებით. დამტკიცებულ დანართი N-1 -ში შემდეგი სახით.

1. დადგენილების მე-9-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 9. სპეციალისტი სოციალური დაცვის საკითხებში

სპეციალისტი სოციალურ საკითხებში უზრუნველყოფს:

ა) სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

ბ) აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას;

გ) ქალთა და ბავშვთა მდგომარეობის შესწავლას, ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით და შესაბამისი ღონისძიების გატარებას;

დ) ოჯახებში ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას."

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გაზდელიანი**